



დანართი N26

**რეკომენდაციები შემოსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალზე (უბანი, ქალაქი, სოფელი, რაიონი
და ა.შ.) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19)
შემაკავებელი ღონისძიებების განხორციელებისთვის**

ახალი კორონავირუსის (SARS-COV-2) ლოკალური ეპიდემიების დროს რეკომენდებულია კონკრეტული ლოკაციის იზოლაცია და ამასთან, აღნიშნულ ტერიტორიაზე ინფექციის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება შემდეგი სქემის მიხედვით:

1. დაზარალების ზონის იდენტიფიკაცია.
2. გეოგრაფიული საზღვრების დადგენა.
3. მოსახლეობის იზოლირება განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვარში: გადაადგილების შეზღუდვა საზღვრის გარეთ, საზღვრის შიგნით გადაადგილების მინიმუმაცია.
4. იზოლაციის ხანგრძლივობა: მინიმუმ - პირველი შემთხვევის გამოვლენიდან 2 ინკუბაციური პერიოდის (2*14 დღე) განმავლობაში; მაქსიმუმ - ბოლო შემთხვევის გამოვლენიდან 2 ინკუბაციური პერიოდი (2*14 დღე).

შენიშვნა: იზოლაციის პერიოდის განსაზღვრისთვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რეკომენდებულია ჩატარდეს სიტუაციის შეფასება 7-10 დღეში ერთხელ ან ახალ გარემოებათა წარმოქმნისას.

5. მოსახლეობასთან კომუნიკაცია ყველა ხელთარსებული საშუალებებით - COVID-19-ის კლინიკური ნიშნების, მათი ქცევის, სასიცოცხლო საჭიროებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობების, სამედიცინო მომსახურების არსების შესახებ.
6. რეკომენდებულია იზოლირებულ არეალში არსებობდეს ავადმყოფთა დროებითი დაყოვნების წერტილი.
7. ჯანმრთელობის მდგომარეობის თვითმონიტორინგის სწავლება მოსახლეობისთვის:
 - თვითმონიტორინგისას რეგისტრირებული სიმპტომები უნდა ეცნობოს ნომინირებულ პერსონას, რომელიც უზრუნველყოფს სიმპტომების შეფასებას, შემთხვევების მართვას - სპეციალური იზოლაციიდან (მაგ. დროებითი დაყოვნების წერტილში) - ტესტირებისა და საჭიროებისას სამკურნალო ცენტრებში მიმართვის ჩათვლით.
8. ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი სათანადოდ განსწავლული და აღჭურვილი პერსონალის მიერ რესპირაციული სიმპტომებისა და ცხელების

გამოვლენის მიზნით - იზოლაციის დაწყებისას, და შემდგომ ყოველი 5-7 დღის შუალედით, სულ მინიმუმ 5-ჯერ:

- მონიტორინგის დროს გამოვლენილი რესპირაციული სიმპტომებისა და ცხელების მქონე პირები რეკომენდებულია გადაყვანილ იქნან სპეციალურ იზოლაციაში (მაგ. დროებითი დაყოვნების წერტილში).

9. მონიტორინგის პროცესში გამოვლენილ შემთხვევებს, რომელთაც აღმოაჩნდებათ რესპირაციული სიმპტომები ან ცხელება უნდა ჩაუტარდეთ ცხვირ-ხახის ნაცხის პჯრ ტესტირება.
10. ტესტირების შედეგად გამოვლენილი დადებითი შემთხვევები იზოლირდება სპეციალურ სივრცეებში (საავადმყოფო, მსუბუქი შემთხვევებისთვის - საკარანტინე სივრცე).
11. სათანადო რესურსების არსებობისას, იზოლაციის პერიოდის დასასრულს, შესაძლოა, ჩატარდეს შერჩევითი ან ტოტალური ტესტირება ჩამოყალიბებული კოლექტიური იმუნიტეტის დადგენისა და განხორციელებული იზოლაციის ეფექტურობის შეფასების მიზნით (მაგ.: IgM, IgG დადგენა სწრაფი ტესტით ან სხვა სეროლოგიური მეთოდით).

დამატებითი ინფორმაცია:

www.moh.gov.ge

ცხელი ხაზი: 1505

www.ncdc.ge

ცხელი ხაზი: 116001

StopCoV.ge